ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგია ასრულებს რა საპროცესო კოლეგიის ფუნქციას, საქმეს განიხილავს შემდეგი შემადგენლობით:

დათუნა მოდებაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

კობა ბოჭორიშვილი – კოლეგიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. პ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.02.2012

საჩივრის რეგისტრაციის № 015/12

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 02.03.2012

საჩივარი შემოტანილია: ლ. შ. მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ლ. შ. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 03 თებერვალს ლ. პ. მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ლ. შ. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2011 წლის 03 ნოემბერს მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით შეხვდა პროცესუალურ მოწინააღმდეგეს ადვოკატ ბ. ბ. მის ოფისში კლიენტის წინადადებათა შეთავაზების მიზნით. განმცხადებლის მითითებით, ბ. ბ. მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა ადვოკატმა მშვიდად დატოვა მისი ოფისი. აღნიშნულის შემდეგ მას დაუკავშირდა ლ. შ., რომელიც გაეცნო ბ. ბ. მეუღლედ და სთხოვა შეხვედრა. განმცხადებელი ლ.პ. იმყოფებოდა ქ. რუსთავში იუსტიციის სახლში და ბ. ბ. მეუღლეს შეხვედრის თაობაზე სთხოვა, რომ გადმოერეკა ნახევარ საათში, ვინაიდან დაკავებული იყო, რაზეც ლ. შ. დათანხმდა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მალევე კიდევ დაურეკა ლ. შ. და კვლავ შეხვედრა მოსთხოვა და მიუთითა: ,,თუ ერთ საათში არ იქნები ჩემს ოფისში, გიჩივლებ პროკურატურაში"-ო. განმცხადებელმა უთხრა, რომ როგორც საჭიროდ ჩათვლიდა ისე მოქცეულიყო, დაემშვიდობა და გაუთიშა ტელეფონი. ამ ფაქტის შემდეგ ლ. შ. კვლავ დაუკავშირდა და მიმართა სიტყვა „ბიჭოთი", მოსთხოვა შეხვედრა და გაუმეორა, რომ თუ არ შეხვდებოდა, პროკურატურაში უჩივლებდა, რაზეც განმცხადებელმა ლ. პ. უთხრა, რომ წუხდებოდა მისი სატელეფონო ზარებით და აღარ დაერეკა. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულის შემდეგ მას დაუკავშირდა მისი ახლობელი ადვოკატი მ. თ., რომელიც თავის მხრივ ბ. ბ. ახლობელიც არის, რომელმაც უთხრა, რომ მას დაუკავშირდა ლ. შ., რომელმაც სთხოვა გადაეცა მისთვის იგივე წინადადება შეხვედრასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას დაუკავშირდა ბ. ბ., ხოლო შემდეგ ლ. შ., რომელიც ეუბნება თუ რეები უთქვამს მას მისი მეუღლისათვის. განმცხადებელი უთიშავს მას ტელეფონს.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად ლ. შ. არასდროს ირიცხებოდა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრად.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს.

3.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე", ხოლო „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში." ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ლ. შ. არ წარმოადგენს „ადვოკატთა შესახებ" კანონის 1–ლი მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრს. შესაბამისად, ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს ადვოკატ ლ. შ. მიერ

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დებულებათა სავარაუდო დარღვევის საკითხზე.

3.3 ეთიკის კომისიამ, იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1–ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, რადგან ლ. შ. არ წარმოადგენს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრს.

III სარეზოლუციო ნაწილი:

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1–ლი მუხლის მე–2 პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–11 მუხლის 1–ლი პუნქტით, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1–ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე აღნიშნული დებულების მე–4 მუხლის 5–6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 31-ე, 32-ე მუხლები, 41-მუხლის 1-ლი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. №015/12 საჩივართან დაკავშირებით შეწყდეს დისციპლინური წარმოება და საჩივრის ავტორს უარი ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

2. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /დათუნა მოდებაძე/

კოლეგიის წევრი: /კობა ბოჭორიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/